

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს

აკადემიური პოზიციების დასაკავებლად

1. აკადემიური კონკურსი ცხადდება შემდეგ მიმართულებებზე:

- 1.1 **მათემატიკა: დიფერენციალური განტოლებები; რიცხვითი მეთოდები; ფიზიკური ამოცანების კომპიუტერული მოდელირება - პროფესორი;**
- 1.2 **საერთაშორისო ურთიერთობები; საერთაშორისო ტერორიზმი და უსაფრთხოება - პროფესორი;**
- 1.3 **შესავალი ადამიანის უფლებების სამართალში (სასწავლო კურსები - "შესავალი ადამიანის უფლებათა სამართალში", "საკონსტიტუციო სამართალი - სახელმწიფო მონყობა") - ასოცირებული პროფესორი;**
- 1.4 **არქიტექტურის თეორია და ისტორია - ასოცირებული პროფესორი;**
- 1.5 **ანთროპოლოგია - ასისტენტ პროფესორი;**

2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

2.1. პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად **მათემატიკა: დიფერენციალური განტოლებები; რიცხვითი მეთოდები; ფიზიკური ამოცანების კომპიუტერული მოდელირება** - მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და სამეცნიერო - პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება, ასევე:

- შესაბამის სფეროში საერთაშორისო სამეცნიერო-საგრანტო პროექტებში მუშაობის და კვლევების მიმართულებით თეორიული და პრაქტიკული მუშაობის 10 წლიანი გამოცდილება;
- კვლევითი გრანტების განხორციელების გამოცდილება;
- ინტენსიური პედაგოგიური საქმიანობის განხორციელება დიფერენციალური განტოლებების, რიცხვითი მეთოდებისა და ფიზიკური ამოცანების კომპიუტერული მოდელირების მიმართულებით.
- ინგლისური ენის ცოდნა.

- ბოლო 5 წლის განმავლობაში იმპაქტ-ფაქტორის მეორე მათემატიკური სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაციები.

2.2 პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად **საერთაშორისო ურთიერთობები; საერთაშორისო ტერორიზმი და უსაფრთხოება** – მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და სამეცნიერო – პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 15 წლის გამოცდილება, ასევე:

- შესაბამის სფეროში საერთაშორისო სამეცნიერო-საგრანტო პროექტებში მუშაობის და კვლევების მიმართულებით თეორიული და პრაქტიკული მუშაობის მინიმუმ 7 წლიანი გამოცდილება;
- კვლევითი გრანტების განხორციელების გამოცდილება;
- ინტენსიური პედაგოგიური საქმიანობის განხორციელება საერთაშორისო ურთიერთობების და საერთაშორისო ტერორიზმი და უსაფრთხოების მიმართულებით;
- ინგლისური და ენის ცოდნა;
- ბოლო 10 წლის განმავლობაში სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაციები;
უპირატესობა მიენიჭება ასევე:
- უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ გამოცდილებას;
- აღმოსავლური ენის ცოდნას

2.3. ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად **ადამიანის უფლებების მიმართულებით (სასწავლო კურსები - "შესავალი ადამიანის უფლებათა სამართალში", "საკონსტიტუციო სამართალი - სახელმწიფო მოწყობა")** პირს უნდა ჰქონდეს: დოქტორის კვალიფიკაცია ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება და ასევე:

- შესაბამისი მიმართულებით პრაქტიკული საქმიანობის განხორციელების გამოცდილება არანაკლებ 5 წლის;
- საერთაშორისო პროექტებში მუშაობის გამოცდილება;
- აქტიური აკადემიური საქმიანობის გამოცდილება ადამიანის უფლებების მიმართულებით;

- ინგლისური ენის ცოდნა;
- უპირატესობა მიენიჭება საზღვარგარეთ მიღებულ ცოდნას და გამოცდილებას.

2.4 ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად **არქიტექტურის თეორია და ისტორია** მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს დოქტორის კვალიფიკაცია ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება და ასევე:

- ინტენსიური პედაგოგიური საქმიანობის განხორციელება;
- აქტიური პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება არანაკლებ 5 წლის;
- ინგლისური ენის ცოდნა.

2.5 ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად **ანთროპოლოგიის** მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და ასევე:

- ინტენსიური პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილება არანაკლები 3 წლის;
- კვლევითი საქმიანობის გამოცდილება;
- საერთაშორისო პროექტებში მუშაობის გამოცდილება;
- ინგლისური ენის ცოდნა;

2.6 აკადემიური თანამდებობები შეიძლება დაკავებულ იქნეს პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ. ამ შემთხვევაში, პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

3 განცხადებების მიღება იწარმოებს **2023 წლის 13 აპრილიდან - 2023 წლის 18 აპრილის ჩათვლით.**

4 განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს:

4.4 ბიოგრაფია (CV);

- 4.5 სამოტივაციო წერილი (1 გვერდი);
- 4.6 შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის პროექტი;
- 4.7 ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
- 4.8 პუბლიკაციების ჩამონათვალი;
- 4.9 პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

5 დოკუმენტაციის მიიღება ხდება ელექტრონულად, გთხოვთ გადახვიდეთ მითითებულ ბმულზე და შეავსოთ ყველა სავალდებულო ველი -

<https://form.jotform.com/223603861724455>

6 კონკურსი ტარდება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ხოლო მეორე ეტაპზე ჩატარდება გასაუბრება/საჩვენებელი ლექცია.

7 კონკურსის პირველი ეტაპი გაიმართება **2023 წლის 19 აპრილიდან - 2023 წლის 24 აპრილის ჩათვლით**, ხოლო გასაუბრება/ საჩვენებელი ლექცია საკონკურსო კომისიასთან გაიმართება **2023 წლის 25 აპრილიდან - 2023 წლის 1 მაისის ჩათვლით**.

8 შრომის ანაზღაურება და შრომის სხვა პირობები განისაზღვრება შერჩეულ პირებთან შეთანხმების საფუძველზე.

9 საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: 0159, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი # 240, კახა ბენდუქიძის კამპუსი

ვებ-გვერდი: www.freeuni.edu.ge

ელ.მისამართი: Vacancy@freeuni.edu.ge